სავარჯიშო 1

პრობლემის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ანალიზი და მიზნების ანალიზი

სიტუაციის აღწერა:

სამ პატარა უბანში (A, B და C), რომლებიც ერთმანეთის მახლობლად მდებარეობს, მუნიციპალიტეტი სამ საბავშვო ბაღს აერთიანებს. ისინი მდებარეობენ ძველ შენობაში, სადაც ცუდი პირობებია.

ამ ცუდი პირობების გამო ბევრი მშობელი ბავშვებს საბავშვო ბაღში არ უშვებს. მუნიციპალიტეტი აღიარებს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისა და საინვესტიციო პროექტის საჭიროებას.

საბავშვო ბაღების შენობები შემდეგია:

- უბანი A - 487,5 მ 2,
- უბანი B - 130 მ 2,
- უბანი C - 325 მ 2.

უბან A-ში ცხოვრობს **150 ბავშვი** (3-6 წლის ასაკობრივი კატეგორიის), უბან B-ში - **45 და უბან, C**-ში **- 100.** ყველა საბავშვო ბაღში, შენობების მდგომარეობის გამო, უბნის მოსახლეობის (იგულისხმება შესაბამისი ასაკობრივი კატეგორია) მხოლოდ 66% ესწრება.

დემოგრაფიული პროგნოზები ვარაუდობს 2022 წლისთვის ბავშვთა რაოდენობის **5%-ით** შემცირებას და შემდგომ პერიოდში- **2%-ით.**

გთხოვთ შეასრულოთ შემდეგი დავალება:

1) მოახდინეთ პრობლემის იდენტიფიცირება და მოცემული სიტუაციისათვის პოტენციური გამოსავლ(ებ)ის პოვნა.
2) მოამზადეთ პრობლემის ხე და მოახდინეთ მიზნების იდენტიფიკაცია, წარადგინეთ იდენტიფიცირებული საინვესტიციო ვარიანტები (პოტენციური გადაჭრის გზები, რომლებიც მოითხოვს თანხის დახარჯვას) პრობლემის გადასაჭრელად.

3) თითოეული ვარიანტისათვის მოკლედ აღწერეთ როგორ გადაიჭრება პრობლემა.

4) შეეცადეთ უპასუხოთ შემდეგ კითხვებს:

   – რომელი ვარიანტი შეიძლება იყოს რეკომენდირებული როგორც ძირითადი და რატომ?
   – არსებობს თუ არა არა-საინვესტიციო ვარიანტები (ვარიანტი, რომელიც არ მოითხოვს დანახარჯებს)?
   – რა მოხდება, თუ მუნიციპალიტეტი პრობლემას არ მოაგვარებს?

<u>სავარჯიშო 2</u>

მოთხოვნის ანალიზი

<u>სიტუაციის აღწერა:</u>

მუნიციპალიტეტი განიხილავს ორ ვარიანტს:

- ვარიანტი 1: სამივე საბავშვო ბაღის განახლება, რის შედეგადაც ბაღები ისევ იმავე სოფლებში იქნება განლაგებული.
- ვარიანტი 2: ახალი, მაღალი მომსახურების სტანდარტის მქონე საბავშვო ბაღის აშენება ქალაქში (ქალაქი მდებარეობს მუნიციპალიტეტის ცენტრში). მუნიციპალიტეტს საკუთრებაში უკვე აქვს ასეთი პროექტისთვის გამოსადეგი მიწის ნაკვეთი. ამ პროექტის განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება არსებული საბავშვო ბაღების 3 შენობის გაყიდვა, რაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს დამატებით შემოსავალს მოუტანს.
  მეორეს მხრივ, ამ ვარიანტის განხორციელების შემთხვევაში ბავშვების ბაღში მისაყვანად მშობლებს ყოველდღიურად მანქანით ქალაქში გამგზავრება მოუწევთ.

გთხოვთ გაითვალისწინოთ წინა სავარჯიშოში გაკეთებული დაშვებები და ინვესტიციის შემდეგი შედეგები:

1. 3 შენობის განახლება (ვარიანტი 1):
   - შენობების უკეთეს მდგომარეობაში მოყვანა
   - ექსპლუატაციის ხარჯების 20%-ით და ყოველწლიური აუცილებელი სარემონტო სამუშაოების ხარჯების 50%-ით შემცირება
   - საბავშვო ბაღის საფასურის გაზრდა მშობლებისთვის (ამჟამად საშუალო გადასახადი შეადგენს 120 ლარს თვეში, ხოლო განახლებულ შენობაში საფასური გაიზრდება 150 ლარამდე)
   - საბავშვო ბაღში მოსიარულე ბავშვთა რაოდენობა გაიზრდება 66%-დან 80%-მდე.
2. ახალი შენობის აშენება (ვარიანტი 2):
   - საბავშვო ბაღის საფასურის გაზრდა (ახლანდელი საფასური არის 120 ლარი თვეში, რაც გაიზრდება 180 ლარამდე ახალი შენობის შემთხვევაში)
   - შენობა იქნება უკეთეს მდგომარეობაში ვიდრე არსებული 3 შენობაა
   - საბავშვო ბაღში მოსიარულე ბავშვთა რაოდენობა გაიზრდება 75%-მდე.

<u>გთხოვთ შეასრულოთ შემდეგი დავალება:</u>

I. <u>გთხოვთ დაითვალოთ თითოეული უბნისათვის:</u>

1) ბავშვების რაოდენობა რომლებიც ხვდებიან 3-6 წლის ასაკობრივ კატეგორიაში
2) ბავშვების რაოდენობა ბაღში
3) ბავშვების რაოდენობა განახლებულ ბაღში (იგულისხმება 3 განახლებული ბაღი)

II. <u>ახალი ბაღის თვის გთხოვთ დაითვალოთ (იგულისხმება ერთი ახალი ბაღი ქალაქში):</u>

1) ბავშვების რაოდენობა - პროგნოზი
2) ბავშვების რაოდენობა ახალ ბაღში

III. **უპასუხეთ შეკითხვას: რა დამატებითი ფაქტორები უნდა იქნას გათვალისწინებული სხვადასხვა ვარიანტის შეფასებისას:**

სავარჯიშო 3

გთხოვთ 2-ე ამოცანის ორივე ვარიანტი შეაფასოთ მრავალ კრიტერიუმიანი ანალიზის მეშვეობით:

1. განსაზღვრეთ კრიტერიუმები და შესაბამისი ქულათა სისტემა;

2. შეაფასეთ ორივე ვარიანტი აღნიშნული კრიტერიუმების მიხედვით;

3. უპასუხეთ შეკითხვას: რომელი ვარიანტი არის უკეთესი?